საიდ. №74801/03

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №151-03/14

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპა-ტენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ქ. კილაძე (თავმჯდომარე), ს. დუმბაძე, ლ. კერესელიძე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 199-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ” პუნქტისა და 2014 წლის 08 ოქტომბრის №ა-263 სააპელაციო საჩივრის საფუძველზე, ზეპირი მოსმენის გაუმართავად განიხილა კომპანიის „მიდვესტვაკო კორპორეიშენ” (MeadWestvaco Corporation) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №151-03/14), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 11 ივლისის სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ №901/03 ბრძანების ბათილად ცნობა და სასაქონლო ნიშნის „PROMINA STYLE“ (საიდ. №74801/03) დარეგისტრირება საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (მე-16 კლასი).

„საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 11 ივლისის №901/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ნიშანი "PROMINA STYLE" მსგავსია მადრიდის შეთანხმების

ოქმით კომპანიის "MeadWestvaco Corporation" (მისამართი: 11013 West Broad Street, MeadWestvaco Corporate Center Glen Allen, VA 23060, US) სახელზე რეგისტრირებული და საქართველოში დაცული საერთაშორისო ნიშნისა "PROMINA" (IR 1014740; რეგ. თარ. 15/09/09) მე-16 კლასის მსგავსი საქონლის ჩამონათვლისათვის. ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, განცხადებულ და დაპირისპირებულ ნიშნებს აქვთ იდენტური სიტყვიერი ჩანაწერი "PROMINA". მიუხედავად იმისა, რომ განცხადებული ნიშანი შეიცავს აგრეთვე სიტყვიერ ჩანაწერს "STYLE", აღნიშნული არ სძენს მას საკმაო განმასხვავებელუნარიანობას და იწვევს სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობას, რის გამოც, „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ" ქვეპუნქტის თანახმად, განცხადებულ სასაქონლო ნიშანს უარი ეთქვა რეგისტრაციაზე.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტის წარმომადგენელი შალვა გვარამაძე თავის სააპელაციო საჩივარში მიუთითებს, რომ განცხადებული და დაპირისპირებული ნიშნების მფლობელი არის ერთი და იგივე კომპანია. დაპირისპირებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშნის მონაცემებში მოხდა მფლობელის მისამართის ცვლილება, კერძოდ, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელმა შეიცვალა მისამართი, 11013 ვესტ ბროდ სტრითი, მიდვესტვაკო კორპორეიტ ცენტერ გლენ ალენ, VA 23060, აშშ-დან (11013 West Broad Street, MeadWestvaco Corporate Center Glen Alen, VA 23060, US) შემდეგ მისამართზე: 501 საუთ 5 სტრით, რიჩმონდი, შტატი ვირჯინია 23219, აშშ (501 South 5th Street, Richmond, VA 23219 US). სააპელაციო საჩივარში ასევე მითითებულია, რომ ინფორმაცია აღნიშნული ცვლილების შესახებ გამოქვეყნებულია 2014 წლის 14 აგვისტოს

ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის სასაქონლო ნიშნების ოფიციალურ ბიულეტენში N31/2-14. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აღარ არსებობს სასაქონლო ნიშნის „PROMINA STYLE" (საიდ. N74801/03) რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად.

კოლეგიამ განიხილა აპელანტის არგუმენტაცია, შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქპატენტის ოფიციალურ რეესტრში 2014 წლის 20 აგვისტოს დაფიქსირებული ცვლილების თანახმად, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელმა კომპანიამ „მიდვესტვაკო კორპორეიშენ" მისამართით: 11013 ვესტ ბროდ სტრითი, მიდვესტვაკო კორპორეიტ ცენტერ გლენ ალენ, VA 23060, აშშ (11013 West Broad Street, MeadWestvaco Corporate Center Glen Allen, VA 23060 US) შეიცვალა მისამართი შემდეგზე: 501 საუთ 5 სტრით, რიჩმონდი, შტატი ვირჯინია 23219, აშშ (501 South 5th Street, Richmond VA 23219 US). აღნიშნული ცვლილების შესაბამისად, განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების მფლობელი ერთი და იგივე პირია. აქედან გამომდინარე, არ არსებობს სასაქონლო ნიშნების აღრევისა და შესაბამისად, მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი ეკუთვნის ერთი და იგივე კომპანიას, არ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარემოება, რომლის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა".

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა” ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. კომპანიის „მიდვესტვაკო კორპორეიშენ” (MeadWestvaco Corporation) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. ბათილად იქნას ცნობილი სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 11 ივლისის №901/03 ბრძანება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ.
3. სასაქონლო ნიშანი „PROMINA STYLE“ (საიდ. №74801/03) დარეგისტრირდეს საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.
4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17). გადაწყვეტილების გაცნობიდან/ჩაბარებიდან ერთი თვის განმავლობაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: ქ. კილაძე

წევრები: ს. დუმბაძე

ლ. კერესელიძე